სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

თებერვალი №3

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
naziko gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
Chairman**: professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~
registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE67TB332136020100005
mimRebis banki: s.s `Tibisi~ banki
bankis kodi: TBCBGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
BANK KODE - TBCBGE22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 4 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / Table of contents

oficialuri dokumentebi / Formal documents

oficialuri dokumentebi ---------- 5-40

instruqcia / **Instuctions** ----------41-49

Semosavlebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
---------- 50-54

saqarTvelos erovnuli banki / **National Bank of Georgia** ---------55-56

gadasaxadebi #3, 2018

GADASAKHADEBI #3, 2018

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №48

2018 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ III, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და 25-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში – აკრედიტაციის ცენტრი) მიერ აკრედიტებულ „A ტიპის ინსპექტირების ორგანოს“, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ან/და განსახორციელებელი სამშენებლო საქმიანობის საექსპერტო შეფასებას. ასეთ შემთხვევაში, საექსპერტო შეფასებას თან უნდა დაერთოს აკრედიტაციის მოწმობა და დოკუმენტაცია აკრედიტაციის სფეროს შესახებ;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვ) ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში აკრედიტებულ ორგანოებს, რომლებიც სამშენებლო საქმიანობის ექსპერტად ყოფნის მიზნით რეგისტრირდებიან აკრედიტაციის ცენტრში. ასეთ შემთხვევაში, საექსპერტო შეფასებას თან უნდა დაერთოს აკრედიტაციის ცენტრში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №50

2018 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

„ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2011, 340170000.10.003.016170) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“:

1. **მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი**:

„4. ფიზიკური შემოწმებისას, თუ მონიტორინგის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული სახეობის პროდუქციის შეჩერებას, საქონლის მფლობელს ეკისრება ვალდებულება, ლაბორატორიული ანალიზის დასრულებამდე საქონელი განათავსოს საბაჟო საწყობში, სხვა საქონლისგან განცალკევებით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. მე-15 **მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„გ) შეჩერება:

გ.ა) სათანადო დასაბუთების არსებობისას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დამატებით დოკუმენტების წარდგენა (საჭირო დოკუმენტების წარდგენისათვის პირს ეძლევა 3 სამუშაო დღის ვადა, ხოლო საზღვაო გზით შემოტანილ საქონელზე – აღნიშნული ვადა ემთხვევა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადას) ან/და საქონლის საკარანტინო სადგომზე განთავსება. ვეტერინარიულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარიული წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ექვემდებარება შეჩერებას“ და კონტროლის ობიექტი გადაადგილდება საკარანტინო სადგომზე. ცოცხალი ცხოველების შემთხვევაში, საკარანტინო სადგომი განისაზღვრება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ან მის უშუალო სიახლოვეს, ან, ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, დანიშნულების ადგილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ან დანიშნულების ადგილზე არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე საკარანტინო სადგომზე;

გ.ბ) ფიზიკური შემოწმებისას, თუ მონიტორინგის გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული სახეობის პროდუქციის შეჩერებას, ლაბორატორიული ანალიზის დასრულებამდე; ვეტერინარიულ სერტიფიკატზე დაისმება ამ ვეტერინარიული წესის №4 დანართით გათვალისწინებული აღნიშვნა – „ექვემდებარება შეჩერებას“ და კონტროლის ობიექტი განთავსდება საბაჟო საწყობში, ლაბორატორიული დასკვნის მიღებამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №51

2018 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 340170000.10.003.016167) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში, ერთსა და იმავე საწარმოდან იმპორტირებულ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქტში ორჯერ აღმოჩნდება სალმონელა (Salmonella) ან/და ლისტერია მონოციტოგენეზი, ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამ პროდუქტის მწარმოებელი საწარმოდან აღნიშნული პროდუქტის იმპორტი ჩერდება ერთი წლის ვადით. ეროვნული სააგენტო მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებს შესაბამისი ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს. ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ იმპორტის ნებართვა გაიცემა ამ წესის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №55

2018 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ წესში:

1. **პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„კ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს (შემდგომში – დაცული ტერიტორიების სააგენტო) მიერ დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაცულ ტერიტორიებზე ხე-ტყის დამზადებისას ერთი კუბური მეტრი მერქნის მოპოვებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობა;“.

2. **მე-2 მუხლის**:

ა) **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. **განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბანი** – სახელმწიფო ტყის ფონდის (გარდა დაცული ტერიტორიებისა) მწვანე ზონისა და საკურორტო ზონის ტერიტორიები (აღნიშნული ტერიტორიების ნუსხასა და მასზე მიკუთვნებული კვარტალების ჩამონათვალს ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოს წარდგინებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი); ჭალის ტყეები; სხვადასხვა დანიშნულების დაცვითი ტყის ზოლები; ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი (სუბალპური ტყეები); უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ტყით დაფარული ფართობები; თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები; 350-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე მდებარე ტყის უბნები; ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები; რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლები; მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნები; დასასვენებელი სახლების,

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პანსიონატებისა და სამკურნალო დაწესებულებების, მინერალური წყაროების ირგვლივ 1 კმ-ის რადიუსში არსებული ტყის უბნები. მანძილი იზღუდება წყალგამყოფით.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. **მინისტრი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.“;

გ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. **სამინისტრო** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“;

დ) 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. **ხე-ტყის ნარჩენი** – ხე-ტყის დამზადების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები, აგრეთვე ის ძირნაყარი ხე-ტყე, რომელსაც ბუნებრივი თუ სხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო აღარ გააჩნია მერქნული რესურსის ღირებულება.“.

3. **მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემისათვის მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ტყითმოსარგებლის მიერ ხე-ტყის დამზადების ბილეთში მითითებული მერქნული რესურსის მოცულობის შესაბამისად.“.

4. **მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) ძირობრივად (თითოეული ხის მოცულობის მიხედვით) – მთავარი სარგებლობის (გარდა პირწმინდა) და მოვლითი ჭრების განხორციელების დროს. აღრიცხვას ექვემდებარება 8 სმ-ისა და მეტი ტაქსაციური დიამეტრის ხეები. ხეები იდამღება ფესვის ყელთან მართვის ორგანოებთან შეთანხმებული იდენტიფიცირე-ბის დამღით (სააგენტოს მიერ ტყეკაფის მონიშვნისას გამოიყენება 8^2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამღა, დამღის ნიმუშზე არსებული ხარისხის მაჩვენებელს მნიშვნელობა არ მიენიჭება), მდგრადი საღებავით ეწერება რიგითი ნომერი. ჭრაში დანიშნულ ხეებზე თვალთახედვის არეში (მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1,7 მეტრამდე სიმაღლეზე) კეთდება მონიშვნა მკვეთრი ფერის საღებავით ან ჩამონათალი;“.

5. 8^1 **მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს**.

6. 8^1 **მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“ ქვეპუნქტი**:

„$ა^1$) I-II ხარისხის მრგვალი ხე-ტყისათვის (მორისათვის) გადახდილ უნდა იქნეს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის II კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებელი, III-IV

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხარისხის მრგვალი ხე-ტყისათვის (მორისათვის) – იმავე ცხრილის შესაბამისი ჯგუფის III კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებელი;“.

7. **მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი**:

„1[1]. სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე სოციალური ჭრა ხორციელდება არაკომერციული მიზნით, მხოლოდ მოსახლეობის სათბობი შეშით უზრუნველყოფისათვის.“.

8. **მე-10 მუხლის მე-11 – მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„11. დადებით (შესაბამისი მერქნული რესურსის მარაგის არსებობის შემთხვევაში) ან უარყოფით გადაწყვეტილებას I ხარისხის ხის გაცემის საკითხზე განაცხადის მიღებიდან ერთი თვის ვადაში საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემთხვევაში – შესაბამისი მართვის ორგანოს მიმართვის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველო, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელსაც გამოცემის შემდეგ ინფორმაციის სახით უგზავნის სამინისტროს.

12. საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ ტენდერის გამოცხადებისა და სამშენებლო ან მასთან გათანაბრებული ისეთი მომსახურების შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო მასალის სახით მერქნული რესურსის გამოყენებას, დაინტერესებული პირის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს წერილობით განცხადებასთან ერთად წარედგინება შესაბამისი პროექტი ან/და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის განსახორციელებლადაც მოთხოვნილია მერქნული რესურსი, სადაც მითითებული და დასაბუთებული უნდა იყოს ზემოთ მითითებული პროექტისათვის აუცილებელი მერქნული რესურსის მოცულობა.

13. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილი I ხარისხის ხის მოთხოვნის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამმართველოს წერილობით თხოვნასთან ერთად წარედგინება საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებული შესაბამისი პროექტი ან/და მშენებლობის ნებართვა (არსებობის შემთხვევაში), რომლის განსახორციელებლადაც მოთხოვნილია მერქნული რესურსი და მშენებლობის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განმახორციელებლის მიერ წერილობითი დადასტურება მოთხოვნის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის თაობაზე.“.

9. **მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 31-ე **პუნქტი**:

„31. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, გარდა ამავე

მუხლის პირველი, 1^1, მე-2, მე-3, მე-16, მე-17, მე-18 – 22-ე, 24-ე – 27-ე, 30-ე პუნქტებისა.“.

10. **მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) განხორციელებული ჭრების, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრებისა და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით საწყობდება სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და მისი სააგენტოსათვის გადაცემა ხდება სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) ჭრის, ამორიცხულ ფართობზე ჭრის ან სპეციალური ჭრის განხორციელების უფლების მქონე პირსა და სააგენტოს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით. სააგენტოს მიერ აღნიშნული მერქნული რესურსის დახარისხება ხორციელდება ამ წესის 8^2 მუხლის შესაბამისად. ასეთი წესით დამზადებულ მერქანს სააგენტო გასცემს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით ან მის გარეშე, 46^3 მუხლით დადგენილი წესით. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (გარდა იმ მიწის ნაკვეთისა, რომელიც ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე) განხორციელებული ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის 46^3 მუხლით დადგენილი წესით გაცემისას ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი არ გადაიხდება.“.

11. **მე-12 მუხლის** 5^2 **პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„5^2. სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შიგა წყლების ნაპირებზე, რომელიც არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებსა და დაცული ლანდშაფტისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებზე, არსებული ძირნაყარი მერქნული რესურსის (თუ მისი დიამეტრი წვრილი თავის ბოლოდან შეადგენს არა უმეტეს 12 სანტიმეტრისა) მოპოვება დასაშვებია მოსახლეობის მიერ უსასყიდლოდ, სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე. მითითებული ძირნაყარი მერქნული რესურსი (თუ მისი დიამეტრი წვრილი თავის ბოლოდან შეადგენს 12 სანტიმეტრზე მეტს) შესაძლებელია აითვისოს მოსახლეობამ მერქნული რესურსის სპეციალური ფირნიშით მარკირებისა და წარმოშობის დოკუმენტის გაცემის შედეგად, სააგენტოს მომსახურების საფასურის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გადახდით. იმ შემთხვევაში, თუ ჭარბი აკუმულირების ადგილებიდან მოსახლეობა საკუთარი ძალებით ვერ შეძლებს ძირნაყარი მერქნული რესურსის გამოზიდვას, ამასთან, მერქნული რესურსის ადგილზე დატოვება ქმნის ჩახერგილობას, სააგენტო უფლებამოსილია, სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, თავად უზრუნველყოს მერქნული რესურსის გამოტანა. ასეთი მერქნული რესურსი სააგენტოს მიერ შეიძლება გაიცეს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით ან მის გარეშე, [463] მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული მერქნული რესურსის 46[3] მუხლით დადგენილი წესით გაცემისას ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებელი არ გადაიხდება.“.

12. მე-13 **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი**:

„4. განთავსების ადგილიდან ხე-ტყის ნარჩენის დაინტერესებული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემა დასაშვებია „ტყის მოვლისა და აღდგენის წესით“ განსაზღვრული მოვლის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში მართვის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ ბიოსაწვავის წარმოების მიზნით. ხე-ტყის ნარჩენის ათვისება ხორციელდება ტყეკაფის გამოყოფის გარეშე. ასათვისებელი ხე-ტყის ნარჩენის მოცულობა დგინდება წინასწარ საორიენტაციოდ, ხოლო ფაქტობრივად ათვისებული ხე-ტყის ნარჩენის მოცულობა დაანგარიშდება ამ წესის მე-10 დანართით დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ტრანსპორტირების დაწყებამდე დაინტერესებული პირი ვალდებულია, ნარჩენი ადგილზე დააქუცმაცოს სათანადო ტექნოლოგიის გამოყენებით. ხე-ტყის ნარჩენის ათვისებისათვის პირმა უნდა გადაიხადოს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი საფასური, ფაქტობრივად ათვისებული მოცულობისთვის, ტრანსპორტირების დაწყებამდე. გადახდილი საფასური წარმოადგენს სააგენტოს დაფინანსების წყაროს. საფასურის გადახდის დამატებითი პირობები დგინდება მართვის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულებით. ხე-ტყის ნარჩენის ტრანსპორტირება ხორციელდება ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის საფუძველზე.“.

13. მე-14 **მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ხე-ტყის დამზადების ბილეთი გაიცემა სოციალური ჭრისათვის გამოყოფილი კონკრეტული ტყეკაფის ფარგლებში და ხე-ტყის დამზადების ბილეთის მოქმედების ვადაა მისი გაცემიდან 90 კალენდარული დღე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ხე-ტყის დამზადების ვადაგასული ბილეთის ნაცვლად ახალი ბილეთი არ გაიცემა.“.

14. მე-14 **მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„4. ხე-ტყის ხარისხის მიუხედავად, დადგენილ ვადებში ხე-ტყის სრული მოცულობით აუთვისებლობის შემთხვევაში, ხე-ტყის დამზადების ბილეთი უქმდება და მართვის ორგანოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი უკან არ ბრუნდება.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

15. 27^4 **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 274. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებლისათვის სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესი

1. თუ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს დაურთოს ამ წესის 27^2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომელიც გამიჯნული იქნება საქართველოს ტყის კოდექსის მე-15-მე-16 მუხლებით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, ტყითსარგებლობის უფლება საქმიანობის განმახორციელებელს ენიჭება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემასთან ერთად. ამ პუნქტით დადგენილი წესით მიღებული სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისათვის საკომპენსაციო და/ან შემარბილებელი ღონისძიებები, საქართველოს ტყის კოდექსის მე-15-მე-16 მუხლებით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის მართვის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე, დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით. საკომპენსაციო ღონისძიებების ბენეფიციარს წარმოადგენს შესაბამისი მართვის ორგანო.“.

16. 27^7 **მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ამ წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის მშენებლობის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისათვის ან ამ წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, არსებულ ინფრასტრუქტურაზე დამატებით ახალი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, აგრეთვე წიაღის შესწავლის და/ან მოპოვებისათვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების ჩასატარებლად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის ტყითმოსარგებლე ერთჯერადად, მიწაზე სამუშაოების განხორციელების დროს ფართობის შესაბამისად იხდის საკომპენსაციო საფასურს, ამ წესის მე-7 დანართის №2 ცხრილის მიხედვით. ამასთან, ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, მერქნიანი მცენარეების მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში, ტყითმოსარგებლე ასევე ვალდებულია, ერთჯერადად გადაიხადოს საკომპენსაციო საფასურიც, ამ წესის მე-7 დანართის №1 ცხრილის შესაბამისად.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საკომპენსაციო საფასური ხმარდება მართვის ორგანოს მიერ ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების უზრუნველყოფას.“.

17. 27^{8} **მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებს გარეთ, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული ველური მცენარეების სახეობების ან მათი ნაწილების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით დაინტერესებული პირი ვალდებულია, გადაიხადოს საკომპენსაციო საფასური ამ წესის №7 დანართის პირველი ცხრილის მიხედვით, მერქნული რესურსის შესაბამისი ჯგუფისათვის დადგენილი საფასურის ოთხმაგი ოდენობით. საკომპენსაციო საფასური ჩაირიცხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობის ანგარიშზე და ხმარდება მისი დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.“.

18. 46^{3} **მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 46^{3}. მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის წესი

1. პირდაპირი მიყიდვის წესით მერქნული რესურსი შესაძლებელია გაიცეს საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მრგვალი ხე-ტყით (მორით) უზრუნველსაყოფად, მათ მიერ ტენდერის გამოცხადებისა და სამშენებლო ან მასთან გათანაბრებული ისეთი მომსახურების შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო მასალის სახით მერქნული რესურსის გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ წერილობით განცხადებასთან ერთად სააგენტოს წარედგინება შესაბამისი პროექტი ან/და დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის განსახორციელებლადაც მოთხოვნილია მერქნული რესურსი, სადაც მითითებული და დასაბუთებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული პროექტისათვის აუცილებელი მერქნული რესურსის მოცულობა. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მრგვალი ხე-ტყის (მორის) მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობით თხოვნასთან ერთად სააგენტოს წარედგინება საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებული შესაბამისი პროექტი ან/და მშენებლობის ნებართვა (არსებობის შემთხვევაში), რომლის განსახორციელებლადაც მოთხოვნილია მერქნული რესურსი და მშენებლობის განმახორციელებლის მიერ წერილობითი დადასტურება მოთხოვნის ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის თაობაზე. შესაბამისი მერქნული რესურსის არსებობის შემთხვევაში, პირდაპირი მიყიდვის წესით მერქნული რესურსის გაცემის მიზნით ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება (ნასყიდობის ან სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. პირდაპირი მიყიდვის წესით მერქნული რესურსი გაიცემა საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საშეშე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, რაზეც ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება (ნასყიდობის ან სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება).

3. სააგენტო უფლებამოსილია, პირდაპირი მიყიდვის ფორმით მოსახლეობას გადასცეს მრგვალი ხე-ტყე (მორი) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში (ხანძარი, სტიქიური უბედურება ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებები), რომელთა შედეგად დაზიანდა ან/და განადგურდა საცხოვრებელი სახლი. მერქნული რესურსის პირდაპირი მიყიდვის თაობაზე ფორმდება შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება. მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი რესურსის დასაბუთებულობას შეისწავლის სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ შექმნილი კომისია. კომისიის მუშაობაში სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს წარმომადგენელი მონაწილეობას არ იღებს. კომისია ადგილზე შეისწავლის მოთხოვნის შესაბამისობას ფაქტობრივ მდგომარეობასთან, რაზედაც დგება კომისიის დასკვნა. დასკვნა თანდართულ ფოტოსურათებთან ერთად წარედგინება მართვის ორგანოს, რომელიც შესაბამისი მერქნული რესურსის არსებობის შემთხვევაში წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გასცემს მოთხოვნილ მერქნულ რესურსს.

4. სააგენტო უფლებამოსილია, პირდაპირი მიყიდვის წესით გასაცემი საშეშე მერქნული რესურსის მიწოდება უზრუნველყოს დაპობილ-დაჩეხილი სახით. ასეთ შემთხვევაში, დამატებით გადახდილი უნდა იქნეს №4 დანართით გათვალისწინებული თანხა, რაც სააგენტოს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს.“.

19. 52- ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის** 4^6 **პუნქტი**:

„4^6. ამ წესის 46^3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსახლეობის, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის) და თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში, მერქნული რესურსისათვის გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად შედგენილი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი ფასი, რაც წარმოადგენს სააგენტოს დაფინანსების წყაროს. აღნიშნული თანხიდან სააგენტო უზრუნველყოფს ამ წესის 8^1 მუხლის მე-5 პუნქტის „$ა^1$“ ქვეპუნქტით დადგენილი მოსაკრებლის გადახდას შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში მერქნული რესურსის საკუთრებაში გადაცემამდე.“.

20. **დანართი №9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დანართი №9

საშეშე მერქნული რესურსის სარეალიზაციო ფასები (დღგ-ის ჩათვლით)

მერქნული რესურსის სახეობა	1 მ^3-ის სარეალიზაციო ფასი ტრანსპორტირებით	1 მ^3-ის სარეალიზაციო ფასი ტრანსპრტირების გარეშე(დასაწყობების ადგილიდან)
უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი, მუხა, წაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, პანტა, საღსაღაჭი, წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი და უხრავი	90 ლარი	75 ლარი
ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია, ჯაგრცხილა, ჭადარი და ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	85 ლარი	70 ლარი

შენიშვნა: დადგენილი სარეალიზაციო ფასები ტრანსპორტირებით მოცემულია 30 კმ-ის ჩათვლით, ხოლო 30 კმ-ის ზევით ყოველ მომდევნო კილომეტრზე ფასს ემატება 1 მ^3-ისთვის 0,50 ლარი (დღგ-ის ჩათვლით). საშეშე მერქნული რესურსის დაპობა-დაჩეხვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება №4 დანართით.“.

21. **დაემატოს შემდეგი შინაარსის №10 დანართი**:

„დანართი №10

ხე-ტყის ნარჩენის მოცულობის გაანგარიშების მეთოდოლოგია

$G_ნ = V_{ა/მ} * G * K$ = **კგ**

$V_ნ = G_ნ / (G * K)$ = **კბმ**

სადაც:

$G_ნ$ - ნარჩენის წონა (კგ);

$V_{ა/მ}$ - ა/მ ძარის მოცულობა (კბმ);

G - ერთი კბმ მკვრივი მერქნის წონა (კგ);

K - გადაზიდვის კოეფიციენტი;

$V_ნ$ - ნარჩენის მოცულობა (კბმ);

სიდიდე K, როგორც წონის განსაზღვრის, ასევე ადგილზე დატვირთული მანქანის მოცულობის გაანგარიშების შემთხვევაში, უდრის 0.36-ს, ხოლო ტრანსპორტირების შემთხვევაში, მოცულობა დაანგარიშდება სიმკვრივის კოეფიციენტით, რომელიც უდრის 0.44-ს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ერთი კუბური მეტრი მკვრივი მერქნის წონა (კგ)*

ხის ჯიში	1 კბმ ხის წონა კგ - 50/33%-იანი ტენიანობით
მუხა, ნეკერჩხალი, წაბლი	860
ცაცხვი	600
აკაცია	750
წიფელი	800
რცხილა, ჯაგრცხილა	970
ვერხვი, მურყანი	650
თელა	790
ნაძვი	560
სოჭი	550
ფიჭვი	625

შენიშვნა: შერეული კორომების შემთხვევაში, წონა დაანგარიშდება ამ ცხრილში მითითებული შესაბამისი ხის ჯიშების წონის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული მონაცემის მიხედვით.“.

მუხლი 2

გარდამავალი დებულებები

1. დადგენილების პირველი მუხლის მე-13-მე-14 პუნქტების მოქმედება არ გავრცელდეს ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ ან/და განახლებად ხე-ტყის დამზადების ბილეთებზე. დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ან/და გაცემული, მაგრამ ვადაგასული ბილეთების განახლების შესაძლებლობის და მათ საფუძველზე ხე-ტყის ათვისების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცემული ბილეთების მოქმედება შეწყდება, ხოლო ვადაგასული ბილეთები განახლებას არ დაექვემდებარება.

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-16 პუნქტის მოქმედება არ გავრცელდეს დადგენილების ამოქმედებამდე სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ კომპენსაციის სახით ფაქტობრივად მიღებულ გადასახდელებზე, 2018 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 მაისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №58

2018 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

„შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა“ და შპს „ფოთი თიზ კომუნალური მართვა თზკ“-ის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №568 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა“ და შპს „ფოთი თიზ კომუნალური მართვა თზკ“-ის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №568 დადგენილება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №60

2018 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

„სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ივლისის №357 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/07/2017, 040030000.10.003.020066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ფონდიდან მიღებული, სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული, სააგენტოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №63

2018 წლის 7 თებერვალი ქ. თბილისი

„მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/01/2017, 340040000.10.003.019743) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 2. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამიდან „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 31 06).“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის**:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის:

ბ.ა) „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის არანაკლებ 20 მეპაიეს ინდივიდუალურად (თითოეულს) საკუთრებაში აქვს ან/და საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში შეტანილი აქვს არანაკლებ 0.3 ჰექტარი ვენახისა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი რეგისტრირებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიან დასახლებაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის არანაკლებ 20 მეპაიეს ინდივიდუალურად (თითოეულს) საკუთრებაში აქვს ან/და საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში შეტანილი აქვს არანაკლებ 0.1 ჰექტარი ვენახისა;“;

ბ.ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) პრეტენდენტის ან/და მისი მეპაიის საკუთრებაში არსებულ ვენახებში გაშენებული ვაზის ჯიშების არანაკლებ 95%-ისა განეკუთვნება ნებადართული ვაზის ჯიშებს;“;

ბ.გ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ დასტურდება, რომ პრეტენდენტის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაში არსებულ ვენახებში გაშენებულია ვაზის ნარგაობა.“;

გ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა პრეტენდენტის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში ვაზის ნარგაობის არსებობის თაობაზე.“;

დ) მე-8 მუხლის:

დ.ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდა პრეტენდენტის განაცხადი, მონაწილესა და სააგენტოს შორის ამ პროგრამის შესაბამისად ფორმდება წინარე ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში მონაწილის ვალდებულებას, კაპიტალური ინვესტირებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მიღებამდე, წინარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 8 თვეს), მოაწყოს ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის განკუთვნილი საწარმოს შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართი არ უნდა იყოს 300 m^2 -ზე ნაკლები, ხოლო, მეორე მხრივ – სააგენტოს ვალდებულებას, უზრუნველყოს მონაწილის მიერ მოთხოვნილი საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობის შესყიდვა.

2. წინარე ხელშეკრულების გაფორმებამდე პრეტენდენტმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს:

ა) ამონაწერი ფინანსური ინსტიტუტიდან მის ანგარიშზე არანაკლებ 50 000 ლარის არსებობის შესახებ;

ბ) მშენებლობის ნებართვა (შენობის აშენების შემთხვევაში).“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის მიერ სრულად არ არის წარდგენილი დოკუმენტური დასაბუთებები ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შესახებ ან დაფიქსირებულია სხვა ხარვეზი, რაც აფერხებს სააგენტოს მხრიდან ამ პროგრამით გათვალისწინებული კაპიტალური ინვესტირების განხორციელებას, სააგენტო მონაწილეს დამატებით განუსაზღვრავს ვადას – არა უმეტეს ერთ თვისა და წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს წარდგენიდან არა უმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუ განსაზღვრულ ვადაში მონაწილე ვერ გამოასწორებს ხარვეზს ან სხვა მიზეზით უარს იტყვის წინარე ხელშეკრულების შესრულებაზე, მაშინ შეწყდება წინარე ხელშეკრულება და მონაწილე ვალდებული იქნება, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისთვის გათვალისწინებული კაპიტალური ინვესტირების ღირებულების 5%-ის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა.“;

ე) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არ დაუშვას საწარმოს შენობა-ნაგებობის გასხვისება, გარდა სააგენტოს წინასწარი ნებართვით სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობებით გასხვისებისა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №64

2018 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1.54-ე **გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

54	საქონლის გაფორმება (გარდა 68-ე, 68^1, 75-ე, 82-ე, 82^1, 82^2, 86-ე, 87-ე და 103-ე გრაფებით გათვალისწინებული შემთხვევებისა)		3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 100 ლარი; 3 000-დან 15 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 300 ლარი; 15 000 ლარის ზევით საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ საბაჟო დეკლარაციაზე 400 ლარი“.

2. 102-ე **გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 103-ე **გრაფა**:

103	ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ნავთობპროდუქტების ბაკსაცავების ნარეცხი) შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში გაფორმება		1 ტონა – 30 ლარი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №70

2018 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

„შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/03/2013, 270220000.10.003.017209) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 1. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი (დანართი №1).

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი (დანართი №2).“.

2. **დადგენილებით დამტკიცებული დანართ №2-ის – „უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„2. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) დირექტორი – კომისიის თავმჯდომარე, სააგენტოს დირექტორის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სააგენტოს სხვა წარმომადგენლები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №73

2018 წლის 7 თებერვალი, ქ. თბილისი

სუნელებისა და სანელებლების წარმოებასთან, გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით რისკის მართვის დროებითი ზომების მიღების შესახებ

მუხლი 1

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მე-9 მუხლისა და 75-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მიღებულ იქნეს რისკის მართვის შემდეგი დროებითი ზომები:

ა) აიკრძალოს ფიზიკური პირების (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) მიერ, ბაზარზე განთავსების მიზნით, სუნელებისა და სანელებლების წარმოება ან/და გადამუშავება, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებული ან/და გადამუშავებული სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება შესაძლებელია მხოლოდ დაფასოებული სახით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ეტიკეტირების მოთხოვნების დაცვით;

გ) დაუფასოებელი (დაფქული) სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება (მათ შორის, ფიზიკური პირების მიერ) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის თვალწინ, ადგილზე ხდება სუნელებისა და სანელებლების დაფქვა.

2. ეთხოვოს მუნიციპალიტეტებს, არ დაუშვან სუნელებისა და სანელებლების გარე ვაჭრობის ფაქტები.

3. ამ დადგენილების პირობების დარღვევით წარმოებული ან/და გადამუშავებული სუნელებისა და სანელებლების ბაზარზე განთავსება დაუშვებელია, ხოლო ბაზარზე უკვე განთავსებული სუნელები და სანელებლები ექვემდებარება ამოღებას/გამოთხოვასა და განადგურებას.

4. რისკის მართვის დროებითი ზომები გაგრძელდეს რისკის შეფასების პროცესის დამთავრებამდე, მაგრამ დადგენილების მიღებიდან არაუმეტეს 2 წლისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №79

2018 წლის 15 თებერვალი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ^{71} პუნქტი**:

„7^1. გამწვანების პროექტი – სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. **32-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^2$“ ქვეპუნქტი**:

„$ა^2$) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახალი მშენებლობისას – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით;“.

3. **34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი**:

„$გ^1$) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობისას, ასევე – მიწის ნაკვეთ(ებ)ზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერა და მათი ხარისხობრივი შეფასება;“.

4. **მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1, 3^2 და 3^3 პუნქტები**:

„3^1. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ნებართვის მფლობელმა დადგენილი წესით ნებართვის გაცემის შემდეგ ათი დღის ვადაში, არსებული საინფორმაციო დაფის გვერდით უნდა განათავსოს სხვა საინფორმაციო დაფა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველ ინფორმაციას, კერძოდ:

ა) კ-3 კოეფიციენტის ფართობს;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;

გ) გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);

დ) გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;

ე) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;

ვ) გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

ზ) შეთანხმებულ გამწვანების პროექტს, რომელიც უნდა იყოს ვიზუალურად გამოსახული მაკეტი ან/და ფოტომონტაჟი.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.

3^3. ამ მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო დაფა განთავსებული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.“.

5. 43-ე **მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარის „თ^1“ ქვეპუნქტი**:

„თ^1) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ასევე – ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ, სავარაუდო გამწვანების პროექტის აღწერით (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას);“.

6. 45-ე **მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი**:

„3^1. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების მიზნით წარდგენილ განცხადებას, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად, ასევე უნდა დაერთოს:

ა) ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ;

ბ) ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით).“.

7. 47-ე **მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ^1“ და „ნ^2“ ქვეპუნქტები**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ნ[1]) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ასევე – მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტს, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-40 მუხლის 3[1] პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას (გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემისას);

ნ[2]) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ასევე – საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე (გარდა 4000 კვ.მ-ზე ნაკლები ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებართვის გაცემისას);“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №47

2018 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ზ) ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხი) მიმართ შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №48

2018 წლის 5 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. **მე-20 მუხლის 7^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„7^1. ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში;

ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.“.

2. 23-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირის მიერ სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას, წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტი (გარდა ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად, სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა) და საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის გაფორმების შემთხვევისა) დანართი №IV-01-ის შესაბამისად.“;

ბ) მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად, სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი.“.

3. 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ე) ცვლილება ხორციელდება საქართველოდან ექსპორტით, რეექსპორტით ან ტრანზიტით, საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, საზღვაო გზით ექსპორტით გასატან შავი ლითონის ჯართზე წარდგენილ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში, საქონლის დროებით შენახვისას ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 6 თებერვლიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №52

2018 წლის 8 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური წოდებისათვის განაკვეთის, კვების ულუფის ფინანსური კომპენსაციის და ერთჯერადი ფულადი დახმარებების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №780 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური წოდებისათვის განაკვეთის, კვების ულუფის ფინანსური კომპენსაციის და ერთჯერადი ფულადი დახმარებების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 27 ნოემბრის №780 ბრძანების (სსმ III, 30.11.2009, №147, მუხლი 1728) პირველი მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მიერ, ამავე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელზე შესაძლებელია გაიცეს დანამატი ზემოაღნიშნული პუნქტით დადგენილი ოდენობის ფარგლებში.“;

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიერ განხორციელებული/ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან/და საგამოძიებო მოქმედების შედეგად საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებული სირთულის ან/და მასშტაბის დანაშაულის ან/და კორუფციული გარიგების გამოვლენის, გამოძიების ან/და აღკვეთის ან ზემოაღნიშნულის განხორციელებისას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში (რაც მოიცავს დანაშულის ადგილების, მტკიცებულებებისა და სხვა სპეციალური სადგომების დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან), საგამოძიებო სამსახურის უფროსი უფლებამოსილია გასცეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი დანამატი შემდეგი ოდენობის ფარგლებში:

ა) წამყვან საჯარო თანამდებობაზე დასაქმებულ თანამშრომელზე – არაუმეტეს 7000 ლარი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) უფროს საჯარო თანამდებობაზე დასაქმებულ თანამშრომელზე – არაუმეტეს 6000 ლარი;

გ) უმცროს საჯარო თანამდებობაზე დასაქმებულ თანამშრომელზე – არაუმეტეს 5000 ლარი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №60

2018 წლის 14 თებერვალი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

369	4004	ა (ა) იპ – სკოლისგარეშე სასპორტო - საგანმანათლებლო დაწესებულება ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლა
372	4007	ა (ა) იპ – თვითმართველ ქალაქ ამბროლაურის სკოლამდელიდა სკოლისგარეშე სააღმზრდელოდაწესებულება
373	4008	ა (ა) იპ – თვითმართველი ქალაქი ამბროლაურის კულტურის ცენტრი
449	4089	ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკი „ახალბაღი“
455	4095	ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სანერგე მეურნეობა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

461	4101	ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
463	4103	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საგუნდო-სამუსიკო სკოლა
464	4104	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სააღმზრდელო- სახელოვნებო სამხატვრო სკოლა
465	4105	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის №1 სამუსიკო სკოლა
466	4106	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე
467	4107	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეა
469	4109	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი

2. ბიუჯეტის განმკარგველი - 470 – ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ზუგდიდდასუფთავება“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

470	4110	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ზუგდიდდასუფთავების ცენტრი

3. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

471	4111	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
472	4112	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი
473	4113	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მართვის ცენტრი
474	4114	ა(ა)იპ – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი
577	4217	ა(ა)იპ – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
578	4218	ა(ა)იპ – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
579	4219	ა(ა)იპ – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

4. ბიუჯეტის განმკარგველი - 583 – ა(ა)იპ – ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

583	4223	ა(ა)იპ – მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის და ტურიზმის განვითარების ცენტრი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

675	4315	ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური
677	4317	ა(ა)იპ – ქ. გორის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების და მოვლა-პატრონობის
1013	4653	ა(ა)იპ – თვითმმართველი თემის – მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
1014	4654	ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის – მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“
1017	4657	ააიპ „თვითმმართველი თემის – მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“
1024	4664	ააიპ „თვითმმართველი თემის – ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“
1025	4665	ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის – ამბროლაურის კულტურის ცენტრი“
1094	4734	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი
1095	4735	ა(ა)იპ – ზუგდიდის №2 სამუსიკო სკოლა
1096	4736	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი „ოდიში“
1097	4737	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აკაკი წერეთლის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა
1098	4738	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი
1099	4739	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის სამოყვარულო თეატრი
1100	4740	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასაფლაოები მართვის ცენტრი
1103	4743	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრი
1276	4916	ა(ა)იპ – გორის თვითმმართველი თემის მემორიალური მუზეუმი
1277	4917	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა
1279	4919	ა(ა)იპ – მოსწავლე-ახალგაზედობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
1280	4920	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
1323	4963	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება
1324	4964	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის ტურიზმის ცენტრი
1325	4965	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „მაჩაბელა“
1331	4971	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი
1335	4975	ა(ა)იპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა
1378	5018	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების გაერთიანება
1380	5020	ა(ა) იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება
1381	5021	ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ცენტრი“
1382	5022	ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა
1387	5027	ა(ა)იპ – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულებათა გაერთიანება

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. ბიუჯეტის განმკარგველის - 1392 – ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი -შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1393	5033	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი
1394	5034	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი
1395	5035	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
1396	5036	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე
1397	5037	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მართვის ცენტრი
1398	5038	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი
1399	5039	ა(ა)იპ – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი
1400	5040	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო
1401	5041	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო
1402	5042	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო
1403	5043	ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო
1404	5044	ა(ა)იპ – ლაგოდეხის სერვის ცენტრი
1405	5045	ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური
1406	5046	ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
1407	5047	ა(ა)იპ – მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
1408	5048	ა(ა)იპ – ამბროლაურის სასპორტო სკოლა
1409	5049	ა(ა)იპ – ამბროლაურის კულტურის ცენტრი
1410	5050	ა(ა)იპ – ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
1411	5051	ა(ა)იპ – ქუთგანათების სერვისი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1412	5052	ა(ა)იპ – ახალქალაქის სერვისცენტრი

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №61

2018 წლის 14 თებერვალი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ტ“ ქვეპუნქტი:

„ტ) საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი.“.

2. მე-11 **მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.**

3. მე-12 **მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ვ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების მომზადება;“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მე-13 **მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ი) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების მომზადება;“.

5. მე-14 **მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ო) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების მომზადება;“.

6. მე-15 **მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ო) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების მომზადება;“.

7. 17^2 **მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ფ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების მომზადება;“.

8. 17^6 **მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის** 17^7 **მუხლი**:

„მუხლი 17^7. **საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი**

საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საგადასახადო ადმინისტრირების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების უზრუნველყოფა, გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები და სხვა) პროექტების შემუშავება;

ბ) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული/სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება;

გ) საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით წინადადებების შემუშავება, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის/რეკომენდაციების ანალიზი და საგადასახადო კანონმდებლობაში მათი იმპლემენტაციის მიზნით წინადადებების მომზადება;

დ) შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ კანონმდებლობის ნორმათა გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ხარისხისა და პროცედურების ხარვეზების ანალიზი და მათი გაუმჯობესება/აღმოფხვრაზე წინადადებების დამუშავება/შემუშავება და ხელმძღვანელობასთან წარდგენა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ზ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-5 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №21

2018 წლის 18 იანვარი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის:

1. 79-ე **მუხლის** მე-4 **პუნქტის** „ა“-„გ“ **ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ა) იმპორტული ფილტრიანი და უფილტრო (სიგარეტი, სიგარა, სიგარილა) თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 11 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (მშრალი) – 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

გ) ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1000 ცალ აქციზურ მარკაზე (თვითწებადი) – 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში ;“.

2. 112-ე **მუხლის** მე-13 **და** მე-14 **პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„13. 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შერჩეული პირს არააქციზური საქონლის ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვროს შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებით 1000 ცალ ერთეულზე არაუმეტეს 10 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №37

2018 წლის 29 იანვარი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 2000900000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №II-06-ის:

ა) III ნაწილი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) „დეკლარაციის დანართი „ა“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 38-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„დ) მე-19 უჯრაში – ფიზიკურ პირებზე (გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული პირებისა) გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტისა) დღგ-ის გარეშე, როგორიცაა გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურების (სარგებლის) ღირებულება; ამხანაგობის წევრ ფიზიკურ პირზე (რომელიც არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად საგადასახადო ორგანოში) განაწილებული შემოსავალი; ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული, უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ღირებულება (გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისათვის საგადასახადო წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაცემული 1000 ლარამდე ქონების ღირებულებისა); „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 26-ე პუნქტით გათვალისწინებული საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ე) მე-20 უჯრაში – პირის მიერ საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი მიზნებისათვის გამოყენების შედეგად ფიზიკურ პირებზე (გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა) გაცემული თანხა, რომელიც იბეგრება 5 პროცენტით;“;

ბ) მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:

„ე[1]) 20[1] უჯრაში – ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საქონლის (შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის, შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების, გარდა შავი ლითონის სხმულების, ზოდების, ნაგლინის, სხვა პირველადი გადამუშავების ნედლეულისა და ნახევარფარ ბრიკატებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 7201, 7202, 7203, 7205, 7206, 7207 სასაქონლო პოზიციებში და 7204 50 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში), მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 133[3] მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 15-პროცენტიანი განაკვეთით;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დეკლარაციის დანართი „ ა “
საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემები

		შემოსავლის მიმღებ პირთა დასახელება	გაცემის თარიღი	განაცემის სახე	განაცემის ოდენობა	შეღავათის ოდენობა	წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის განაკვეთი	გადასახადი (ლარი)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	
	რეზიდენტ ფიზ.პირებზე განაცემები:								
1	1.1 დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირები								
	1.2 ფიზიკური პირები, გარდა ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირებისა, რომლებიც ეწევიან მომსახურებას და რომელთა შემოსავლები იბეგრება:								
	1.2.1 20%-ით								
	1.2.2 5 %-ით								

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1.2 1 ფიზიკური პირები, რომელთა მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 133[3] მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 15-პროცენტიანი განაკვეთით								
1.3 სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკური პირი								
1.4 სხვა ფიზიკური პირები								
რეზიდენტ ორგანიზაციებზე განაცემები:								
არარეზიდენტებზ ე განაცემები								
3.1 შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული იურიდიული პირები								
3.2 შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებული ფიზიკური პირები								
3.3 საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე სხვა არარეზიდენტი იურიდიული პირები								

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	3.4 საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირები								

ნაწილი III				
განაცემის დასახელება			(თანხა)	
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ხელფასის/სარგებლის (ფულადი, ნატურალური) სახით გაცემული ანაზღაურება. მათ შორის:		16		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)		17		
რეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი როიალტი		18		
ფიზიკურ პირებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (გარდა პროცენტებისა):	რომელიც იბეგრება 20%-ით;	19		
	რომელიც იბეგრება 5%-ით	20		
ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც საქონლის შემძენი პირის მიერ სსკ-ის 133[3] მუხლის შესაბამისად იბეგრება გადახდის წყაროსთან 15-პროცენტიანი განაკვეთით		20 [1]		
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და ამასთან, ექვემდებარება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავებას (გარდა დივიდენდებისა და ანაბრებზე გაცემული პროცენტებისა)		21		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფიზიკურ პირებზე გაცემული დივიდენდები, მათ შორის:			22		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)			23		
ფიზიკურ პირებზე გაცემული პროცენტები, მათ შორის:			24		
ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (შეღავათების გამოკლებით)			25		
ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მესაკუთრე ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება			26		
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, (გარდა პროცენტებისა და დივიდენდებისა), მათ შორის:			27		
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	28		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	29		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	30		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	31		
	1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%)		32		
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება (შეღავათების გამოკლებით), რომელიც ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას (გარდა პროცენტებისა და დივიდენდისა), მათ შორის:			33		
საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	„ბ[1]“ ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	34		
		„გ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	35		
		„დ” ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	36		
		„ე” ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	37		
	1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%)		38		
ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი (მე-17 – მე-20, 20 [1], 21-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე,34-ე – 38-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამისი საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი),			39		
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები, მათ შორის:			40		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	"ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	41		
		„გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	42		
		„დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	43		
		„ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	44		
	1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%)		45		
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%);			46		
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%);			47		
ორგანიზაციებზე და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებზე გადახდის წყაროსთან დაბეგვრას დაქვემდებარებული განაცემები (შეღავათების გამოკლებით) მათ შორის:			48		
ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის:	პირველი ნაწილის:	"ბ[1]" ქვეპუნქტით (განაკვეთი 5%)	49		
		„გ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%);	50		
		„დ" ქვეპუნქტით (განაკვეთი 4%);	51		
		„ე" ქვეპუნქტით (განაკვეთი 10%).	52		
	1[1] ნაწილით (განაკვეთი 15%)		53		
ბ) დივიდენდები (განაკვეთი 5%);			54		
გ) პროცენტები (განაკვეთი 5%);			55		
გადახდის წყაროსთან ორგანიზაციებისათვის და საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ საწარმოებისათვის დაკავებული ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი (49-ე – 55-ე უჯრებში ასახული თანხების შესაბამის საგადასახადო განაკვეთებზე ნამრავლის ჯამი)			56		
სულ ბიუჯეტში გადასახდელი წყაროსთან დაკავებული გადასახადების ჯამი (39-ე და 56-ე უჯრებში ასახული თანხების ჯამი) მათ შორის:			57		
აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			571		
აფხაზეთის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი			572		
ინფორმაციისათვის					
მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების ღირებულება			58		
სამეურნეო ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი			59		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საგადასახადო ორგანოს მიერ ინვერტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სასაქონლო- მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ოდენობა	60		
ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია მე-16 უჯრაში ასახული თანხა	61		
არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხები, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას	62		
ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული ბრუნვა. მათ შორის:	63		
საკონტროლო–სალარო აპარატების საშუალებით	64		
მაქსიმალური ხელფასი	65		
მინიმალური ხელფასი	66		
ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის	67		
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	68		
პირთა რაოდენობა, რომელზეც გაცემულია 68-ე უჯრაში ასახული თანხა	69		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Semosavlebis samsaxuris brZaneba

საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №2935

2018 წლის 12 თებერვალი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებული საქონლის დათვალიერება ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებული საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი საყარი საქონლისა ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებული, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი შავი ლითონის ჯართისა – ვიზუალური დათვალიერებით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის პირველი – მე-6 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირებულ ან სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით წარდგენილ საქონელზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებულ საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებულ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან შავი ლითონის ჯართზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით;“;

ა.გ) 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში მოქცეულ საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებულ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან შავი ლითონის ჯართზე,საბაჟო დეკლარაცია წარდგენილია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საქონლის წონის/რაოდენობის დადგენისას ხელმძღვანელობს დეკლარირებისას წარმოდგენილი საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილი აქტით, ხოლო საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში საქონლის ჩატვირთვისას, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართავის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას შედგენილი აქტით.“;

ა.დ) 36-ე მუხლის:

ა.დ.ა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი ფაქტობრივად გადაკვეთს

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საბაჟო საზღვარს (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, საგზაო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ საქონელი გადაიზიდება სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრირებული რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, მაშინ ჩაიწერება – „000“. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ შავი ლითონის ჯართზე დეკლარაცია ივსება სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, გრაფაში მიეთითება „255“.“;

ა.დ.ბ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ შავი ლითონის ჯართზე დეკლარაცია შევსებულია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, ექსპორტის დასრულებამდე, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართავის შემდეგ, გაფორმების ორგანო დეკლარაციის:

ა) 21-ე და 25-ე გრაფებში უთითებს შესაბამის მონაცემებს, ხოლო 44-ე გრაფაში – შესაბამის კოდს (მათ შორის, სატრანსპორტო დოკუმენტის კოდს) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად; ან/და

ბ) თუ დეკლარაციაში საქონლის წონის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილ აქტში მითითებულ მონაცემებს – 31-ე გრაფაში მითითებულ რაოდენობას ან/და 35-ე გრაფაში ან/და 38-ე გრაფაში მითითებულ წონას ცვლის საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით.“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2):

ბ.ა) „ნაწილი 5. გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორის“:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა.ა) „026“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„026	მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ გრაფაში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი (იმპორტის გადასახადისაგან, აქციზისაგან და დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

ბ.ა.ბ) „026“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „029“ კოდის გრაფა:

„029	მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ გრაფაში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი (იმპორტის გადასახადისაგან, აქციზისაგან და დღგ-ისგან გათავისუფლება)“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ა.გ) „625“ კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„625	2023 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულის იმპორტი (იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება)“;

ბ.ბ) „ნაწილი 10. საქონლის გაფორმებისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და საქონელთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის კლასიფიკატორის“ **„458“ კოდის გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „459“ კოდის გრაფა:**

„459	შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად, სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფულადი გზავნილები იანვარში

15.02.2018

2018 წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 110.0 მლნ აშშ დოლარი, 280.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 31.1 პროცენტით (26.1 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2017 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.4 პროცენტი იმ 12 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ იანვარში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 12 ქვეყანაზე გასული წლის იანვარში მთელი ფულადი გზავნილების 90.8 პროცენტი მოდიოდა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	ფულადი გზავნილების მოცულობა იანვარი, 2018 მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		იანვარი, 2017	იანვარი, 2018
სულ	**110.0**	**100.0**	**100.0**
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	**37.7**	**32.3**	**34.2**
მათ შორის:			
იტალია	13.7	11.4	12.5
საბერძნეთი	12.4	11.1	11.3
ესპანეთი	2.8	2.5	2.6
გერმანია	2.7	2.4	2.5
საფრანგეთი	1.2	1.0	1.1
გაერთიანებული სამეფო	1.1	1.1	1.0
დანარჩენი ქვეყნები, სულ	**72.4**	**67.7**	**65.8**
მათ შორის:			
რუსეთი	30.9	31.5	28.1
აშშ	10.7	11.3	9.7
ისრაელი	11.7	7.6	10.7
თურქეთი	8.8	7.4	8.0
უკრაინა	1.8	1.8	1.7
აზერბაიჯანი	1.4	1.5	1.3

2018 წლის იანვარში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.0 მლნ აშშ დოლარი (38.2 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 13.3 მლნ აშშ დოლარისა (36.1 მლნ ლარისა) გასული წლის იანვარში.

წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, სტატისტიკის რუბრიკაში მისამართზე:
https://www.nbg.gov.ge/uploads/moneytransfers/money_transfers_by_countries_geo.xls

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com